

საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ" საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისია (შემდგომში "კომისია") აღნიშნავს, რომ კომისიამ 2018 წლის 18 ოქტომბერს მიიღო №600/23 გადაწყვეტილება „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო - საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“, საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში ცვლილების შეტანის მიზნით საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების შესახებ.

კომისია აღნიშნავს, რომ მიმდინარე საჯარო ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებში ზეპირი მოსმენა კომისიაში გაიმართა 2018 წლის 22 ნოემბერს, ხოლო გადაწყვეტილების მიღების დღედ განისაზღვრა 2018 წლის 6 დეკემბერი. კომისიის 2018 წლის 22 ნოემბრის ზეპირი მოსმენის სხდომას ესწრებოდნენ: შპს „ვიონი საქართველოს“ იურიდიული სამსახურის უფროსი ი. ესართია, შპს „მაგთიკომის“ იურისტი დ. მიმიგური, შპს „მაგთიკომის“ ტექნიკური დირექტორის მოადგილე დ. მუჯირიშვილი, შპს „მაგთიკომის“ ქსელის არქიტექტორი ა. ნინიძე, შპს „მაგთიკომის“ ფინანსური დირექტორის მოადგილე გ. გაგნიძე, სს „სილქნეტის“ პროექტების მართვის დეპარტამენტის უფროსი თ. ტყეშელაშვილი, შპს „გრინ ნეთვორქსის“ დირექტორი ი. ომაძე, შპს „სტარ ნეთვორქსის“ დირექტორი ლ. ომაძე, შპს „აირკონექტის“ ფინანსური განყოფილების უფროსი, შპს „ლოკალ ნეთვორქსის“ დირექტორი გ. გოგიძე, შპს „ლოკალ ნეთვორქსის“ აქციონერი დ. ტაბიძე, ააიპ „სატელეკომუნიკაციო ოპერატორების ასოციაციის“ გამგეობის თავჯდომარე უ. სეთური, შპს „კავკასიის ციფრული ქსელის“ დირექტორი დ. თუთბერიძე, შპს „ინტელკომ ჯგუფის“ დირექტორის მოადგილე ზ. ძამაძია, შპს „ინტელკომ ჯგუფის“ გაყიდვების მენეჯერი ი. გურული, შპს „სქაიტელის“ დირექტორი ა. ხოჯაშვილი, შპს „სტვ-1“ -ის წარმომადგენელი ა. გაგოშიძე.

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის მიერ 2014 წლის 6 ნოემბერს მიღებული იქნა გადაწყვეტილება N620/9 „საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე და სპილენძის სააბონენტო სახაზო-საკაბელო წყვილების რესურსებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე კონკურენციის კვლევისა და ანალიზის შედეგების შესახებ“. აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებს, ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე იმ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც ამავე გადაწყვეტილებით ისინი ცნობილ იქნენ მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად, ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურებაზე დაუდგინდათ ზედა ზღვრული ტარიფი 370 ლარის ოდენობით (გადასახადების გარეშე).

კომისია აღნიშნავს, რომ კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის N620/9 გადაწყვეტილების მიღებისას კომპანიების მიერ წარმოდგენილი სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურების ტარიფების გაანგარიშების მოდელები განსხვავებული იყო როგორც მიდგომების, ასევე დანახარჯების მომსახურების სახეებზე გადანაწილების კრიტერიუმების მიხედვით. გაანგარიშების მოდელთან დაკავშირებით, როგორც ავტორიზებული პირების ასევე კომისიის მხრიდან არსებობდა შენიშვნები. იმისათვის, რომ კომისიის მიერ დადგენილი ზღვრული ტარიფი დამოკიდებული არ ყოფილიყო კონკრეტული კომპანიების სააღრიცხვო პრობლემებზე, კომისიამ მიზანშეწონილად მიიჩნია, რომ საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების მომსახურებების მსურველი ავტორიზებული პირების ინტერესების დაცვის მიზნით ზედა ზღვრული ტარიფების სიზუსტის დასადგენად გაგრძელებულიყო მუშაობა გაანგარიშების ახალ მოდელთან დაკავშირებით და მომხდარიყო ევროკავშირის ქვეყნებში ეფექტური ოპერატორის დანახარჯების მოდელის შესახებ არსებული პრაქტიკის შესწავლა.

კომისია, ასევე აღნიშნავს, რომ 2017 წლის 18 დეკემბერს გამოცხადდა ტენდერი NGA და NGN ქსელებით, მათ შორის, საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებით მომსახურების მიწოდების ტარიფების მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების

„LRIC“ მოდელის შემუშავებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე. კომისიის მიერ გამოცხადებულ ტენდერში „NGA და NGN ქსელებით მომსახურების მიწოდების გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების (BU-LRIC) მოდელის შემუშავებისა და საკონსულტაციო მომსახურების შესყიდვაზე“ გამარჯვდა საკონსულტაციო კომპანია „Pricewaterhouse Coopers Advisory, s. r. o. (PwC)“-მა, რომელმაც სატენდერო პირობების შესაბამისად 2018 წლის 9 ოქტომბრის წერილით (კომისიაში რეგისტრაციის N6/5214-18) წარმოადგინა „LRIC“ მოდელის მიხედვით გაანგარიშებული NGA-ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საბითუმო მომსახურებების, მათ შორის, სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხის იჯარის ტარიფები. აღნიშნული დოკუმენტი გამოქვეყნებულ იქნა კომისიის ვებ გვერდზე 2018 წლის 10 ოქტომბერს (<http://gncc.ge/uploads/other/3/3272.pdf>). 2018 წლის 23 ოქტომბერს კომისიაში „PwC“-ის სლოვაკეთის ოფისის წარმომადგენლებთან ერთად მოხდა ზემოაღნიშნული შედეგების პრეზენტაცია და საჯარო განხილვა.

კომისიის ზეპირი მოსმენის სხდომაზე კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის (დ. გოგიჩაიშვილი) მიერ წარმოდგენილი ინფორმაციის თანახმად:

Pricewaterhouse Coopers Advisory, s. r. o. (PwC)“-მა სატენდერო პირობების შესაბამისად 2018 წლის 9 ოქტომბრის და 13 ნოემბრის წერილებით (კომისიაში რეგისტრაციის N6/5214-18 და N6/6011-18) წარმოადგინა „LRIC“ მოდელის მიხედვით გაანგარიშებული „NGA-ტექნოლოგიაზე დაფუძნებული საბითუმო მომსახურებების, მათ შორის, სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხის იჯარის ტარიფები. „LRIC“ მოდელის აგებისას გამოყენებული იქნა შემდეგი ძირითადი პარამეტრები, კერძოდ: თეორიული ეფექტური ოპერატორი განისაზღვრა ბაზრის შესაბამისი ყველა მონაწილის მიერ მოწოდებული მონაცემების საფუძველზე; საერთო მომსახურების მოცულობისა და მოთხოვნის დასადგენად მოდელში გაერთიანდა ოპერატორების მიერ მოწოდებული ინფორმაცია შესაბამისი საბაზრო წილის პარამეტრის გათვალისწინებით (37 პროცენტი); საბაზრო წილის პარამეტრის გაანგარიშება განხორციელდა აღნიშნული მომსახურების ეროვნული დაფარვის მქონე ოპერატორების საშუალო საბაზრო წილის ექვივალენტის საფუძველზე, რაც თეორიულად ეფექტური ოპერატორის პრინციპების და ფართოზოლოვანი საბითუმო მომსახურების ბაზრის ანალიზის შესაბამისია. მოდელში შეტანილი ინფორმაციის საფუძველზე, სრული მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად საჭირო მოცულობის ქვეყნის მთელი ტერიტორიის დაფარვის გათვალისწინებით აიგო თეორიულად ეფექტური ოპერატორისთვის „NGA“ დაშვების ქსელი, მონაცემთა ტრანსპორტირების ქსელი და ძირითადი ქსელი. გაანგარიშების მოდელში კაპიტალის საშუალო შეწონილი ღირებულება განისაზღვრა (WACC) 14.95 პროცენტის ოდენობით.

„LRIC“ მოდელში გამოყენებული სხვა მონაცემები და ძირითადი პარამეტრები მოცემულია ცხრილი N1- N4-ში

ცხრილი N1

თეორიული ეფექტური ოპერატორისთვის გრძელვადიანი აქტივების ისტორიული ღირებულების („HCC“) გაანგარიშების პარამეტრები

WACC = 14.95%

HCC	ერთეული	სასარგებლო გამოყენების ვადა (წლები)	ფასის ცვლილების კოეფიციენტი (%)	აქტივის მშენებლობისთვის საჭირო დრო (წლები)	წმინდა საბალანსო ღირებულების (NBV) და მთლიანი საბალანსო ღირებულების (GBV) პროცენტული წილი (%)
ინფრასტრუქტურა					
თხრილი	კმ	40.00	20.00%	0.15	29.00%
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცი - 1 არხი	კმ	44.00	16.00%	0.15	29.00%
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცი - 2 არხი	კმ	50.00	16.00%	0.15	29.00%

HCC	ერთეული	სასარგებლო გამოყენების ვადა (წლები)	ფასის ცვლილების კოეფიციენტი (%)	აქტივის მშენებლობისთვის საჭირო დრო (წლები)	წმინდა საბალანსო ღირებულების (NIBV) და მთლიანი საბალანსო ღირებულების (GBV) პროცენტული წილი (%)
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცი - 6 არხი	კმ	50.00	16.00%	0.15	29.00%
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცი - 12 არხი	კმ	50.00	16.00%	0.15	29.00%
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცი - 24 არხი	კმ	50.00	16.00%	0.15	29.00%
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცი - 48 და მეტი არხი	კმ	50.00	15.00%	0.15	29.00%
დამხმარე საკაბელო არხი – მთავარ საკაბელო არხში გაყვანილი HDPE მილი	კმ	45.00	0.00%	0.00	29.00%
დამხმარე საკაბელო არხი – თხრილში გაყვანილი HDPE მილი	კმ	45.00	0.00%	0.00	29.00%
საკანალიზაციო ლუქი	რაოდენობა	50.00	0.00%	0.19	29.00%
მიწის რეკონსტრუქცია					
ბალახის საფარის რეკონსტრუქცია	მ2	20.00	20.00%	0.00	45.00%
ტროტუარის რეკონსტრუქცია	მ2	20.00	13.33%	0.00	45.00%
ასფალტის საფარის რეკონსტრუქცია	მ2	20.00	13.33%	0.00	45.00%
ბეტონის საფარის რეკონსტრუქცია	მ2	20.00	13.33%	0.00	45.00%
არხი დაბრკოლებების ქვეშ					
გზის ქვეშ - 15 მმ დე	რაოდენობა	50.00	13.00%	0.00	45.00%
გზის ქვეშ - 15 მმ-ს ზემოთ	რაოდენობა	50.00	13.00%	0.00	45.00%
არხი ტრამვაის ლიანდაგის ქვეშ	რაოდენობა	0.00	20.00%	0.00	45.00%
არხი რკინიგზის ლიანდაგების ქვეშ	რაოდენობა	50.00	13.00%	0.00	45.00%
არხი მდინარეების და სრუტის ქვეშ	რაოდენობა	0.00	20.00%	0.00	45.00%
არხი სხვა დაბრკოლებების ქვეშ	რაოდენობა	50.00	0.00%	0.00	45.00%
დამატებითი სამუშაოები					
საპროექტო სამუშაოები	კმ	1.00	7.00%	0.00	40.00%
მიწის მფლობელების თანხმობა	რაოდენობა	1.00	7.00%	0.00	40.00%
გეოდეზიური მომსახურება	კმ	1.00	7.00%	0.00	40.00%

ცხრილი N2

თეორიული ეფექტური ოპერატორისთვის საოპერაციო ხარჯების გაანგარიშებისთვის
გამოყენებული მონაცემები (მარჯა)

მოცანეთა ტიპი	მნიშვნელობა
დანახარჯების კოეფიციენტი - ქსელის კაპიტალური დანახარჯები (GRC)	
A. მარჯა - მიმდინარე რემონტისა და დაგეგმვის ხარჯები	
ბოჭკოვანი კაბელები და საკაბელო არხები	12.0%
დაშვების კვანძები	7.1%

გადაცემის ქსელი	5.8%
საკომუტაციო ქსელი	9.4%
ობიექტის ინფრასტრუქტურა	4.6%
BSS ინფრასტრუქტურა	8.0%
გადაცემა	16.9%
MSC/MGW და სხვა ქსელი	7.5%
B.მარჯა ქსელის მართვის სისტემა	
დაშვების კვანძი	2.1%
გადაცემის ქსელი	2.2%
საკომუტაციო ქსელი	2.3%
BSS ინფრასტრუქტურა	2.5%
ტრანსმისია	4.2%
MSC/MGW და სხვა ქსელი	3.2%
დანახარჯების კოეფიციენტები - ქსელის საოპერაციო დანახარჯები (OPEX)	
C.მარჯა - ადმინისტრირების და მხარდაჭერის საქმიანობის საოპერაციო დანახარჯები	
ქსელის მთლიანი საოპერაციო დანახარჯები	13.4%
D.მარჯა - ადმინისტრირებისა და მხარდაჭერის საქმიანობის კაპიტალური დანახარჯები	
ქსელის მთლიანი ინფრასტრუქტურა	4.3%

თეორიული ეფექტური ოპერატორისთვის ქსელის მიმდინარე ღირებულებით გადაფასების შედეგები

HCC	ერთეული	მოცულობა	ერთეულის მთლიანი ფასი (ლარი)	GRC ღირებულება (ლარი)	წლიური დანახარჯები („Annualized cost“) (ლარი)						
					თანაბარზომიერი ცვეთის მეთოდი	მოდულიზებული თანაბარზომიერი ცვეთის მეთოდი	ჩანაცვლების ღირებულებაზე დაყრდნობით	მოდულიზებული ჩანაცვლების მეთოდი	წრფივი მეთოდი	შერჩეული მეთოდი	
ინფრასტრუქტურა											
თხრილი	კმ	1,990	20,760	41,307,133	6,198,965	6,159,115	455,133	452,207	427,735	452,207	
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია - 1 არხი	კმ	1,112	34,596	38,469,370	5,763,711	5,755,855	821,063	819,944	757,165	819,944	
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია - 2 არხი	კმ	823	45,626	37,528,858	5,615,861	5,608,206	684,575	683,642	636,302	683,642	
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია - 6 არხი	კმ	960	57,013	54,753,435	8,193,366	8,182,198	998,773	997,412	928,344	997,412	
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია - 12 არხი	კმ	318	72,446	23,060,065	3,450,734	3,446,031	420,645	420,072	390,983	420,072	
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია - 24 არხი	კმ	127	102,880	13,079,234	1,957,191	1,954,524	238,582	238,257	221,758	238,257	
სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია - 48 და მეტი არხი	კმ	32	141,356	4,460,875	667,530	667,487	101,467	101,460	88,571	101,460	
დამხმარე სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია –HDPE მილი	კმ	3,077	-	-	-	-	-	-	-	-	
დამხმარე სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია – თხრილში გაყვანილი HDPE მილი	კმ	294	-	-	-	-	-	-	-	-	

HCC	ერთეული	მოცულობა	ერთეულის მთლიანი ფასი (ლარი)	GRC ღირებულება (ლარი)	წლიური დანახარჯები („Annualized cost“) (ლარი)					
					თანაბარზომიერი ცვეთის მეთოდი	მოდულირებული თანაბარზომიერი ცვეთის მეთოდი	ჩანაცვლების ღირებულებაზე დაყრდნობით	მოდულირებული ჩანაცვლების მეთოდი	წრფივი მეთოდი	შერეული მეთოდი
საკანალიზაციო ლუქი	რაოდენობა	6,197	450	2,788,471	417,270	428,463	417,270	428,463	176,664	428,463
მიწის რეკონსტრუქცია										
ბალახის საფარის რეკონსტრუქცია	m2	38,230	11	422,823	67,364	67,364	15,667	15,667	11,532	15,667
ტროტუარის რეკონსტრუქცია	m2	101,275	29	2,901,105	462,203	462,203	190,122	190,122	166,161	190,122
ასფალტის საფარის რეკონსტრუქცია	m2	242,786	57	13,919,040	2,217,574	2,217,574	912,175	912,175	797,213	912,175
ბეტონის საფარის რეკონსტრუქცია	m2	87,708	116	10,141,437	1,615,729	1,615,729	664,612	664,612	580,851	664,612
არხი დაბრკოლებების ქვეშ										
არხი გზის ქვეშ (up to 15m)	რაოდენობა	80,527	1,600	128,843,781	19,280,328	19,280,328	4,370,113	4,370,113	3,707,480	4,370,113
არხი გზის ქვეშ (above 15m)	რაოდენობა	11,095	1,000	11,094,942	1,660,260	1,660,260	376,317	376,317	319,257	376,317
არხი ტრამვაის ლიანდაგის ქვეშ	რაოდენობა	-	-	-	-	-	-	-	-	-
არხი რკინიგზის ლიანდაგების ქვეშ	რაოდენობა	616	1,245	766,786	114,743	114,743	26,008	26,008	22,064	26,008
არხი მდინარეების და სრუტის ქვეშ	რაოდენობა	109	-	-	-	-	-	-	-	-
არხი სხვა დაბრკოლებების ქვეშ	რაოდენობა	25,451	990	25,196,506	3,770,433	3,770,433	3,770,433	3,770,433	2,199,025	3,770,433
დამატებითი სამუშაოები										
საპროექტო სამუშაოები	კმ	3,372	5,454	18,387,890	21,136,880	21,136,880	21,136,880	21,136,880	18,972,625	21,136,880

HCC	ერთეული	მოცულობა	ერთეულის მთლიანი ფასი (ლარი)	GRC ღირებულება (ლარი)	წლიური დანახარჯები („Annualized cost“) (ლარი)					
					თანაბარზომიერი ცვდის მეთოდი	მოდულიზებული თანაბარზომიერი ცვდის მეთოდი	ჩანაცვლების ღირებულებაზე დაყრდნობით	მოდულიზებული ჩანაცვლების მეთოდი	წრფივი მეთოდი	შერჩეული მეთოდი
მიწის მფლობელების თანხმობა	რაოდენობა	23,520	900	21,167,714	24,332,288	24,332,288	24,332,288	24,332,288	21,840,848	24,332,288
გეოდეზიური მომსახურება	კმ	3,372	1,000	3,371,605	3,875,660	3,875,660	3,875,660	3,875,660	3,478,822	3,875,660

თორიული ეფექტური ოპერატორის საოპერაციო ხარჯების გაანგარიშების შედეგები

HCC	დანახარჯი ერთ წელზე (ლარი) Yearly cost
ინფრასტრუქტურა	
თხრილი	1,817,250
მთავარი საკაბელო არხი - 1 საკანალიზაციო ლუქი	1,808,059
მთავარი საკაბელო არხი - 2 საკანალიზაციო ლუქი	1,730,141
მთავარი საკაბელო არხი - 6 საკანალიზაციო ლუქი	2,524,222
მთავარი საკაბელო არხი - 12 საკანალიზაციო ლუქი	1,063,106
მთავარი საკაბელო არხი - 24 საკანალიზაციო ლუქი	602,974
მთავარი საკაბელო არხი - 48 და მეტი საკანალიზაციო ლუქი	211,511
საკანალიზაციო ლუქი	238,077
მიწის რეკონსტრუქცია	
ბალახის საფარის რეკონსტრუქცია	33,832
ტროტუარის რეკონსტრუქცია	269,310
ასფალტის საფარის რეკონსტრუქცია	1,292,105
ბეტონის საფარის რეკონსტრუქცია	941,430
არხი დაბრკოლებების ქვეშ	
არხი გზის ქვეშ 15 მმ-დე	10,127,464
არხი გზის ქვეშ 15 მმ-ს ზემოთ	872,092
არხი რკინიგზის ლიანდაგების ქვეშ	60,271
არხი სხვა დაბრკოლებების ქვეშ	4,024,328
დამატებითი სამუშაოები	
საპროექტო სამუშაოები	9,490,024
მიწის მფლობელების თანხმობა	10,924,697
გეოდეზიური მომსახურება	1,740,092
სულ დანახარჯები საკანალიზაციო ინფრასტრუქტურაზე	49,770,985

სატელეკომუნიკაციო კანალიზაციის თხრილის და არხის სიგრძე კანალიზაციის ტიპების მიხედვით

ცხრილი N5

თხრილი	კმ	1,990
ძირითადი საკომუნიკაციო კანალიზაცია -1 არხი	კმ	1,112
ძირითადი საკომუნიკაციო კანალიზაცია -2 არხი	კმ	823
ძირითადი საკომუნიკაციო კანალიზაცია -6 არხი	კმ	960
ძირითადი საკომუნიკაციო კანალიზაცია -12 არხი	კმ	318
ძირითადი საკომუნიკაციო კანალიზაცია -24 არხი	კმ	127
ძირითადი საკომუნიკაციო კანალიზაცია -48 და მეტი არხი	კმ	32

თეორიულად ეფექტური ოპერატორსთვის განსაზღვრული სატელეკომუნიკაციო კანალიზაცია შედგება ორ არხიანი სატელეკომუნიკაციო კანალიზაციისგან

დანახარჯების გაანგარიშება ორ არხიან სატელეკომუნიკაციო კანალიზაციაში ერთ არხ-კილომეტრზე თვეში

ცხრილი N5

დანახარჯის შინაარსი	ლარი
ორარხიანი სატელეკომუნიკაციო კანალიზაციის წლიური დანახარჯი ერთ კილომეტრზე (საოპერაციო ხარჯს+ცვეთა+უკუგება)	2,103
საკანალიზაციო ლუქის დანახარჯი ერთ კილომეტრზე	71
ინფრასტრუქტურული დანახარჯები ერთ კილომეტრზე	7,419
სულ დანახარჯები ერთ კილომეტრზე ორ არხიანი სატელეკომუნიკაციო კანალიზაციისთვის	9,593
დანახარჯი ერთ არხზე წელიწადში ერთ კილომეტრზე	4,796
დანახარჯი ერთ არხზე თვეში ერთ კილომეტრზე	399.7

„LRIC“ მოდელით ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურების დანახარჯების გაანგარიშების შედეგად, 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე ტარიფი თვეში შეადგენს 399,7 ლარს.

კომისიის 2015 წლის 16 ივნისის N 351/19 გადაწყვეტილებით ცვლილება შევიდა კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში. აღნიშნული ცვლილებით დადგენილია მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებული პირის მიერ საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების კვეთის დიამეტრის (კაბელის კვეთის ფართობი) მიხედვით ტარიფის გაანგარიშების წესი. ამ წესის მიხედვით საკანალიზაციო არხში კაბელის განთავსებისას საკანალიზაციო არხის შევსების კოეფიციენტი შეადგენს 40 პროცენტს, ხოლო კაბელის გატარებისთვის საკანალიზაციო არხში თავისუფალი სივრცე შეადგენს 60 პროცენტს. სს „სილქნეტის“ მიერ 2018 წლის 18 ოქტომბრის N4759/05-8 (კომისიაში რეგისტრაციის N შ-6/5420) წერილით წარმოდგენილი აუდირებული განცალკევებული აღრიცხვის ანგარიშის თანახმად აღნიშნული წესით კაბელის კვეთის დიამეტრის მიხედვით გაანგარიშებული სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხში კაბელის გატარების საფასურით და ტრანსფერული ფასებით მიღებული შემოსავლები ფარავს საკანალიზაციო არხზე გაწეული დანახარჯებს და საშუალო დატვირთულ კაპიტალზე უკუგება 17 პროცენტს შეადგენს, რაც დაახლოებით კაპიტალის საშუალო შეწონილი განაკვეთის „WACC“-ის (14,95 %) ტოლია. შესაბამისად ამ ეტაპზე აღნიშნული წესის ცვლილება არ არის მიზანშეწონილი.

კომისია იზიარებს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის რეგულირების დეპარტამენტის მიერ წარმოდგენილ ინფორმაციას საქართველოში არსებული ტექნოლოგიის და ქსელის ტოპოლოგიის საფუძველზე მომზადებული NGA და NGN ქსელებით მომსახურების მიწოდების მომავალზე ორიენტირებული, გრძელვადიანი ნაზარდი დანახარჯების „LRIC“ მოდელის მიხედვით NGA-ტექნოლოგიაზე დაფუძნებული სატელეკომუნიკაციო საკანალიზაციო არხის იჯარის გაანგარიშების შედეგების თაობაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კომისია აღნიშნავს, რომ ცვლილება უნდა შევიდეს კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში და ავტორიზებულ პირებს: სს „სილქნეტს“, შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“, შპს „ახალ ქსელებს“, შპს „ახტელს“ შპს „სისტემ ნეტს“ და შპს „მაგთიკომს“ აღნიშნული გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე უნდა დაუდგინდეს ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი 399,7 ლარის ოდენობით თვეში, გადასახადების გარეშე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, „ელექტრონული კომუნიკაციების შესახებ“ საქართველოს კანონის 22 -ე მუხლის, V თავის და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და IX თავის შესაბამისად, კომისიამ კენჭისყრის შედეგად, ერთხმად

გადაწყვიტა:

1. შევიდეს ცვლილება კომისიის 2014 წლის 6 ნოემბრის №620/9 გადაწყვეტილებაში და გადაწყვეტილების 7.4 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ა) საკომუნიკაციო საკანალიზაციო არხებთან დაშვების საბითუმო ბაზრის სეგმენტზე, ამ გადაწყვეტილებით განსაზღვრულ, მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე პირებს: სს

"სილქნეტს", შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“, შპს „ახალ ქსელებს“, შპს „ახტელს“ შპს „სისტემ ნეტს“ და შპს „მაგთიკომს“ ამავე გადაწყვეტილებით განსაზღვრულ გეოგრაფიულ საზღვრებში, 100 მმ-იანი საკანალიზაციო მილის ერთ არხ კილომეტრზე თვეში იმ გეოგრაფიულ ზონაში, სადაც ეს კომპანიები ცნობილნი არიან მნიშვნელოვანი საბაზრო ძალაუფლების მქონე ავტორიზებულ პირებად, დაუდგინდეს ელექტრონულ საკომუნიკაციო კანალიზაციაში კაბელების გატარების მომსახურებაზე ზედა ზღვრული ტარიფი 399,7 ლარის ოდენობით, გადასახადების გარეშე“;

2. დაევალოს სს "სილქნეტს", შპს „საქართველოს ცენტრალური კავშირგაბმულობის კორპორაციას“, შპს „ახალ ქსელებს“, შპს „ახტელს“ შპს „სისტემ ნეტს“ და შპს „მაგთიკომს“ 2018 წლის 20 დეკემბრამდე კომისიაში გამოსაქვეყნებლად წარმოადგინონ წინამდებარე გადაწყვეტილების შესაბამისად განახლებული ელექტრონული საკომუნიკაციო კანალიზაციის არხებთან დაშვების შეთავაზების წინადადება (მოწვევის ოფერტა) და მოწვევის ოფერტის მოქმედების ვადა განსაზღვრონ არანაკლებ 2 წლის ვადით;

3. წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის კომისიის ოფიციალურ ვებგვერდზე (www.gncc.ge) გამოქვეყნებისთანავე;

4. გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ., №6) ერთი თვის ვადაში;

5. კონტროლი აღნიშნული გადაწყვეტილების შესრულებაზე დაევალოს კომისიის აპარატის სატელეკომუნიკაციო ბაზრის დეპარტამენტს (დ.გოგიჩაიშვილს).

კომისიის თავმჯდომარე

კახი ბექაური

კომისიის წევრი

ვახტანგ აბაშიძე

კომისიის წევრი

ელისო ასანიძე

კომისიის წევრი

გიორგი ფრუიძე

კომისიის წევრი

მერაბ ქათამაძე